საინფორმაციო ბროშურა ვატოპედის წმინდა სავანის შესახებ

ათონის წმინდა მთა

2009 წელი

უკანასკნელი თვეების მანძილზე უპრეცენდენტო აურზაური წარმოიქმნა მონასტრის ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ვისტონიდას ტბის გაცვლისა და იმ ფინანსური შემოსავლების მართვა-მოხმარების გარშემო, რაც გაცვლის შედეგად იქნა მიღებული.

ვატოპედის წმინდა სავანის წინამძღვარი და მთელი საძმო გამოვხატავთ ჩვენს ღრმა მწუხარებას და მდაბლად ვითხოვთ შენდობას ქრისტეს სამწყსოსაგან, რადგან უნებლიედ და ჩვენთვის მოულოდნელად მორწმუნეთა დაბრკოლების მიზეზი გავხდით .

ქვემოთ მოყვანილი ტექსტი წარმოადგენს ფაქტებისა და მტკიცებულებების ნუსხას, რომელიც საქმის უკეთესად გაგებაში დაგეხმარებათ.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ეკლესიის სამსახურში

ვატოპედის მონასტერი დაარსდა მეოთხე საუკუნეში იმპერატორ თეოდოსი დიდის მიერ. მას შემდეგ, რაც ის დაინგრა და დაცარიელდა, აღდგენილ იქნა სამი ახალი ქტიტორის - ნიკოლოზის, ათანასეს და ანტონის მიერ მე-10 საუკუნის დასასრულს. ვატოპედი საუკუნეების მანძილზე თავს იჩენდა, როგორც მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი კერა, სადაც მრავალი წმინდანი აღიზარდა. სავანე, მიუხედავად თავისი ისიქასტური ცხოვრების წესისა პარალელურად მრავალ მისიონერულ საქმიანობას ახორციელებდა, როგორც საბერძნეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ერის სამსახურში

სავანის წვლილი ბერძენი ერის კეთილდღეობისათვის თავისი არსებობის 1000 წლიანი ისტორიის მანძილზე შეუფასებელი იყო. 1749 წელს, თურქების ბატონობის დროს, მონასტერმა დააარსა „ათონის აკადემია“(სასულიერო აკადემია „ათონიადა“), რომელიც, როგორც ცნობილია, დაპყრობილი ერის ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლებელი იყო. აკადემიაში მრავალი გამოჩენილი პიროვნება აღიზარდა: წმიდა მოციქულთასწორი კოზმა ეთოლიელი, რიგას ფერეოსი და ერის მრავალი სხვა სულიერი მასწავლებელი.

სავანემ დიდი ფინანსური დახმარება გაუწია 1821 წლის რევოლუციას. ალექსანდრე იფსილანდის რევოლუციის დროშა პირველად დუნაის მიმდებარე სამთავროში ირინუპოლისისა და ვატოპედის მიტროპოლიტმა, ვატოპედელმა გრიგოლიმ აკურთხა და რევოლუციის დასახმარებლად ნახევარი მილიონი გროში გაიღო. მონასტერმა აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანა უდიდესი საგანმანათლებლო კერის, ათენის უნივერსიტეტისა და ქალკის სასულიერო აკადემიის განახლებაში, გაიღო სახსრები კონსტანტინოპოლის ენების ინსტიტუტის აღდგენისათვის და ფინანსურად შეეწია საბერძნეთის სახელმწიფოს მრავალ საგანმანათლებლო სასწავლებელს.

1912 წელს სავანემ ჟლეტისაგან იხსნა ვრასნასა და სტავროსის (ქალკიდიკი) მოსახლეობა. კერძოდ, მონასტერმა თურქებს გადაუხადა დიდძალი გადასახადი, რომლის დაფარვაც სოფლის მკვიდრთ საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ. 1917 წ. თესალონიკში მომხდარი გამანადგურებელი ხანძრის შემდეგ

პრემიერ-მინისტრ ელეფთეროს ვენიზელოსის ვიზიტი მონასტერში 1927 წ.

მონასტერმა ხანძრით დაზარალებულთათვის მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები გაიღო. 1922 წ. მცირე აზიის ტრაგედიის და მოსახლეობათა გაცვლის შემდეგ სავანემ ლტოლვილების დასასახლებლად თავდაპირველად 6.200 ჰე, შემდგომ კი დამატებით 3.800 ჰე მიწა გასცა. ეს მიწის ნაკვეთები განლაგებული იყო თასოს მხარეში და ქალკიდიკში (ურანოპოლი, ნეა ტრიგლეა, ნეა როდა, ამულიანის მთლიანი კუნძული, მუდანია, ვატოპედი და აგიო მამა).

მსოფლიო მართლმადიდებლური კონფერენცია (პრე-სინოდი), რომელიც ჩატარდა სავანეში

პატრიარქ ფოტი II-ის დროს 1930წ.

მონასტრის აღდგენის მცდელობები

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდგომ ათონის წმ. მთაზე აღინიშნებოდა ბერ-მონაზონთა სიმცირე, რის გამოც სავანემ განიცადა როგორც სულიერი, ასევე მატერიალური დეგრადაცია. 1990 წ. მსოფლიო საპატრიარქოს და ათონის წმიდა მთის წმიდა კინოტის გადაწყვეტილებით ვატოპედის მონასტერი გადაკეთდა იდიორითმულიდან კინოვიურად (საერთოსაცხოვრებლად). მასში დასახლდა 18 მონაზონი, ბერი იოსების (ნეა სკიტი) სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ. მღვდელ-მონაზონი ეფრემი არჩეულ იქნა პირველ იღუმენად.

ახალმა ძმობამ უპირველეს მიზნად დაისახა სავანის სულიერი აღორძინება. ასევე მათი მთავარი საზრუნავი გახდა იმ მატერიალური საქმიანობების შესრულება, რომელთა განხორციელებაც სავანეში აუცილებელი იყო. დღეისათვის მონასტერი ითვლის 110 მონაზონს 12 ქვეყნიდან.

მონასტრის, კელიებისა და სკიტების აღდგენითი სამუშაოები

ვატოპედის მონასტერი წარმოადგენს ნაგებობათა უზარმაზარ კომპლექსს, რომელიც მოიცავს 35.000 კვადრატულ მეტრს. მონასტრისადმი დაქვემდებარებული სკიტები და კელიები განფენილია 50.000 კვადრატულ მეტრზე მეტ ტერიტორიაზე. 1990 წლიდან დღემდე მონასტრის დაახლოებით ერთი მესამედია აღდგენილი, რაზეც დახარჯული იქნა 45 მილიონი ევრო. ასევე აუცილებელია კარიესში მდებარე წმიდა ანდრიას სკიტის (სერაი), წმიდა დიმიტრის სკიტის, ძველი ათონური აკადემიისა და იმ მრავალი კელიის აღდგენა, რომელებიც მონასტერს ეკუთვნის 50.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ყოველწლიური სახელმწიფო გრანტი ევროპის ფონდისაგან ფარავს ხარჯების ძალიან მცირე ნაწილს. ამიტომ აღდგენითი სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა, სავანის მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯების გაღების გარეშე.

მონასტრის აღმოსავლეთი ფრთის ჩრდილოეთის მხარე, რესტავრაციამდე და მის შემდეგ

ბერ-მონაზვნებს არც პირადი ინტერესები აქვთ და არც სხვათა ინტერესს ემსახურებიან. საჭიროა განვასხვავოთ ბერ-მონაზონის უპოვარება მონასტრის ქონებისაგან.

მონასტრის სატრაპეზო რესტავრაციამდე და მის შემდეგ

სიწმინდეებზე ზრუნვა

მონასტერში ინახება 3.500 ხატი, 2.200 ხელნაწერი, 350.000 დოკუმენტი (სიგელები, ქარტიები), 40.000 „ინკუნაბულა“ (ხელნაწერი წიგნები 1458 წლიდან- 1830 წლამდე), უამრავი ხელოვნების ნიმუში - ოქრომკედით შესრულებული ნაქარგობა, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები - რომელთა ისტორიული და კულტურული ღირებულება შეუფასებელია. ყოველივე ეს ათეული წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და იმყოფებოდა დაზიანებისა და განადგურების საფრთხის ქვეშ. ამ სიწმიდეთა შესანახად და მათი გამოფენისათვის აშენდა ორი ახალი საცავი. რესტავრაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა კათოლიკონის (მთავარი ტაძრის) კედლის მხატვრობა (ფრესკები), რომელიც შესრულებულია მანუელ პანსელინოს მიერ (1312წ). ასევე რესტავრაცია გაუკეთდა ასობით ხატს, ხელნაწერს და მრავალ სხვადასხვა საგანს, რომელებიც გამოიყენება ღმრთისმსახურებაში.

მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობა (ფრესკა) (1312წ) გასუფთავებამდე და მის შემდეგ

სავანის საქველმოქმედო საქმიანობა

ფაქტების დამახინჯების გამო, მონასტერი იძულებულია გამოაქვეყნოს თავისი საქველმოქმედო საქმიანობათა ნუსხის ძირითადი ნაწილი.

<u>ფინანსური მხარდაჭერა</u>

ყოველწლიურად მონასტრის სუფთა შემოსავლის 50% იხარჯება:

- სტუდენტთა სტიპენდიებისათვის;

- ღარიბი ოჯახების დახმარებისათვის;

- უმწეოთა სამედიცინო დახმარებისათვის;

- ღარიბ პატიმართა გასათავისუფლებლად და მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად;

- ნარკოტიკების მომხმარებელთა რეაბილიტაციისათვის;

- მონასტრების ფინანსური დახმარებისთვის, როგორც საბერძნეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

- საეკლესიო ორგანიზაციების, ბანაკების და სხვადასხვა დაწესებულებების ფინანსური დახმარებისათვის საბერძნეთში, კვიპროსზე, ამერიკაში, რუსეთში, რუმინეთში, სერბეთში, აფრიკასა და მსოფლიო საპატრიარქოს სხვადასხვა ეპარქიებში.

ძველი საცავის მდგომარეობა გახსნისას 1989წ. და მისი განახლების შემდეგ 2005წ.

სტუმართა მიღება

სავანეს ყოველ წელს დაახლოებით 25.000-მდე მომლოცველი სტუმრობს. სტუმრების საჭმლით და მოსასვენებელი ოთახით უფასოდ უზრუნველყოფა და სავანეში 150 მომუშავე პერსონალის დაკმაყოფილების ხარჯები უზომოდ დიდია. რაც შეეხება მხოლოდ საჭმელს, ყოველდღიურად საჭიროა დაახლოებით 700 ულუფა.

საგამომცემლო საქმიანობა

მონასტრის პუბლიკაციები სასულიერო, სამეცნიერო და საგალობლების თემაზე, დაჯილდოვებულ იქნა ათენის აკადემიისა და სხვადასხვა ევროპული საგამომცემლო სააგენტოების მიერ. ისინი წარმოადგენს სასულიერო და კულტურულ ღირებულებას, როგორც წმიდა მთისათვის ასევე მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლობისათვის.

გეგმები და მიზნები

მონასტერს განზრახული ჰქონდა ვისტონიდას ტბის გაცვლიდან მიღებული სახსრების დიდი ნაწილი საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოეყენებინა. ამ მიზნით მან დააარსა „წმ. გრიგოლ პალამას სახელობის კულტურულ-საქველმოქმედო კვლევის ფონდი“, ნოტარიული აქტი №11816/22-5-2007, რომელიც პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტს გაეგზავნა განსახილველად. ფონდის მიზანი იყო, განეხორციელებინა საზოგადოებისათვის სასარგებლო მნიშვნელოვანი საქმიანობანი. ძალიან ადრე ამ აურზაურის ატეხვამდე, სავანეს უკვე ჰქონდა ოფიციალურად გამოცხადებული შემდეგი სამუშაოები:

- ინვალიდთა რეაბილიტაციის ცენტრი გრამატიკოში, ატიკის რაიონი (ბიუჯეტი 40 მილიონი ევრო);

- უნიკალური მოხუცებულთა სახლი ლიმასოლში, კვიპროსზე (ბიუჯეტი 5 მილიონი ევრო);

- ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრი მესოიაში.

ვისტონიდას ტბა

სავანემ, წმინდა მთის ფარგლებს გარეთ, მემკვიდრეობით, დიდძალი უძრავი ქონება მიიღო თავისი დამაარსებელი იმპერატორებისა და კეთილისმყოფელებისაგან. ვისტონიდას ტბა არის ერთად-ერთი მნიშვნელოვანი საკუთრება, რაც შემორჩა (3%) სავანეს ამ ქონებიდან. დანარჩენი უძრავი ქონება (97%), რაც მონასტერს გააჩნდა წმინდა მთის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა დროს გადაეცა საბერძნეთის სახელმწიფოს, ან უბრალოდ ჩამოერთვა.

ვატოპედის წმინდა სავანე მასზე დაქვემდებარებულ სკიტებთან და კელიებთან ერთად, წარმოადგენს უდიდეს ნაგებობათა კომპლექსს, რაც განფენილია 85.000 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობზე.

მონასტრის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მეტოქი ვისტონიდას ტბაზე

1994წ. ქსანთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეჭვქვეშ დააყენა მონასტრის უფლებები ვისტონიდას ტბაზე მდებარე პატარა კუნძულ „ადა ბურუზე“. საქმე, კანონის თანახმად, მივიდა სახელმწიფოს მიწის საკონსულტაციო საბჭოში და ერთობლივი ვერდიქტით, რომელიც 1998წ. გამოქვეყნდა, აღიარებულ იქნა მონასტრის საკუთრების უფლებები. ბოლო თვეების მანძილზე ცილისმწამებლური ბრალდებები იქნა წაყენებული სავანის წინააღმდეგ, ვისტონიდას ტბისა და მისი სანაპიროს მფლობელობაზე უფლების მოთხოვნასა და შემოთავაზებულ გაცვლასთან დაკავშირებით, საბერძნეთის საჯარო ხელისუფლების მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანისათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მონასტერს მონაწილეობა არ მიუღია არანაირ უკანონო გარიგებაში, ან სხვა არალეგალურ საქმიანობაში. თავისი წარმომადგენლების საშუალებით სავანე ცდილობდა და ცდილობს, აშკარა სამართლიანი გზითა და კანონიერი საშუალებებით, დაიცვას თავისი უფლებები საბერძნეთის სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოების წინაშე.

ხატების საცავის მდგომარეობა აღდგენამდე და მის შემდეგ

სავანის უფლება ვისტონიდას ტბის განკარგვაზე

მონასტრის უფლება ვისტონიდას ტბის მფლობელობაზე, მის სანაპირო ზოლსა და პატარა კუნძულებზე უეჭველია და კანონიერად სრულიად დამტკიცებულია.

ყველა ხელშეკრულება, რომელებიც ეხება ვისტონიდას ტბაზე მონასტრის საკუთრების უფლებას, დამტკიცებულია ბიზანტიის იმპერატორების განკარგულებებით, სულთანთა ფირმანებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქების სინოდალური დოკუმენტებითა და სიგელებით. ყველა ეს დოკუმენტი საბერძნეთის სასამართლოების მიერ აღიარებულია მოქმედ და იურიდიული ძალის მქონედ. საბერძნეთის თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, სავანის უფლებები ხელახლა ორჯერ იქნა დადასტურებული ათენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გამოჩენილი პროფესორების დასკვნებით 1922 და 1923 წლებში (კ.რაკტივანი, გ.სტრეიტი, კ.რალლი, დ.პაპულია, კ.პოლიგენი, ნ.სარიპოლუ და დ.ლინგა)

1924წ. საბერძნეთის ხელისუფლების საკანონმდებლო დეკრეტის საფუძველზე, სავანემ სახელმწიფოს გადასცა 3.800 ჰე მიწა ქალკიდიკში მცირე აზიიდან ლტოლვილთა დასასახლებლად. ვისტონიდას ტბა კი, იმავე გადაწყვეტილებით, მთლიანად რჩებოდა სავანის მფლობელობაში. ყოველივე ზემოთთქმული კიდევ ერთხელ იქნა მხარდაჭერილი და დადასტურებული ათენის უნივერსიტეტის საეკლესიო სამართლის პროფესორის იოანე კონიდარის მიერ, 2008 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით. ყველა ეს ხელშეკრულებები აღიარებულ იქნა ქსანთისა და როდოპის შესაბამისი მიწის სამსახურების მიერ. მათზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიწისა და ქონების გაცვლის საკონსულტაციო საბჭომ, ოთხი(4) სხვადასხვა გადაწყვეტილებით, რომლებიც მიიღო 1998 წლიდან 2004 წლამდე, სხვადასხვა შემადგენლობათა და სხვადასხვა მთავრობების პერიოდში, ერთხმად აღიარა სავანის უფლებები.

სავანეს განზრახული ჰქონდა ვისტონიდას ტბის გაცვლითა და მისი ქონების მართვით მიღებული თანხის უდიდესი ნაწილი საქველმოქმედო საქმიანობებისათვის გამოეყენებინა.

აღდგენითი სამუშაოების დასაწყისი ძველი ათონური აკადემიის ნანგრევებზე

სასამართლო პროცესი როდოპში

2003 წლის 5 ნოემბერს პირველი ინსტანციის პლენალურმა სასამართლომ როდოპში, საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად, განიხილა სავანის მიერ საკუთრების უფლების დაცვისათვის წარდგენილი სარჩელი. 2004 წლის 25 ივნისს პროცესში მონაწილე მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ითხოვდნენ, რომ სასამართლოს არ გამოეტანა ვერდიქტი, რადგან 2004 წლის 20 მაისს სახელმწიფოს მიწის საკონსულტაციო საბჭომ კიდევ ერთხელ, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მონასტრის სასარგებლოდ. მოქმედი კანონმდებლობით, როდესაც მხარეები ერთობლივად აცხადებენ, რომ მათ არ სურთ ვერდიქტის გამოქვეყნება, სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია ასეც მოიქცეს. ცოტა ხნის წინანდელი ბრძანება ვერდიქტის გამოქვეყნების თაობაზე სერიოზულ შეკითხვებს ბადებს საბერძნეთის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ.

სამხრეთ-დასავლეთი ფრთის ნაწილი, რომელიც არ განახლებულა

სავანეს მონაწილეობა არ მიუღია არანაირ უკანონო გარიგებაში, ან სხვა არალეგალურ საქმიანობაში.

მონასტრის სინოდიკონში (სხდომათა დარბაზში)

სავანის ტიტულების[1] არ აღიარება

სავანის ტიტულების ეჭვქვეშ დაყენება, ძლიერ დარტყმას აყენებს საკუთრების უფლებას. ეს შესაძლებელს ხდის, რომ საბერძნეთის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქონებაზე (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები, ასევე წმინდა ეკატერინეს სავანე სინას მთაზე) სხვა მხარეებმაც გამოთქვან პრეტენზია. სახელმწიფო მოხელეებს შორის იმ პირთა მოძიებამ, ვინც პასუხისმგებელნი და დამნაშავენი იყვნენ მიმდინარე პროცესებში, სერიოზულად შეარყია საზოგადოების ნდობა და ძლიერი დარტყმა მიაყენა იმ პარტნიორთა ინტერესებს, რომლებსაც სწამდათ და ურთიერთობა ჰქონდათ საბერძნეთის მთავრობასთან.

ბერი სოფრონის (სახაროვი) ხსოვნისადმი მიძღვნილი მართლმადიდებლური კონფერენცია ათენში

გაცვლის პროცედურა

ვისტონიდას ტბისა და მისი სანაპიროს გაცვლა სხვა უძრავ ქონებაზე საბერძნეთის სახელმწიფო მოხელეებისგან იყო შემოთავაზებული, რათა დაეკმაყოფილებინათ

[1] აქ: მფლობელობის დამამტკიცებელი დოკუმენტები

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოთხოვნები.მონასტერს არ უნდოდა ვისტონიდას ტბის გაცვლა, რაც აშკარად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ სავანეს სხვადასხვა კომპანიებისათვის დავალებული ჰქონდა, რომ მოემზადებინათ პროგრამები, ტბისა და მისი შემოგარენის განვითარებისათვის.

ტბისა და სანაპიროს მიწის ფართობის ღირებულების შეფასება საბერძნეთის ხელისუფლების მიერ დაევალა კომპეტენტურ საკანონმდებლო ორგანოს „სოე“ (Σῶμα Ὀρκοτῶν Ἐκτιμητῶν- ნაფიც ექსპერტთა კორპუსს), რომელიც დამოუკიდებელია და არ ეკუთვნის სახელმწიფო სექტორს. შეფასება მოხდა საერთაშორისო და ევროპული მოდელების საფუძველზე, მონასტრის მხრიდან ყოველგვარი მონაწილეობისა და ჩარევის გარეშე.

მართლმადიდებლობის ზეიმის ლიტანია

არჩევანი, რომ ქონება გაცვლილიყო, გაკეთდა საბერძნეთის ხელისუფლების მიერ. აგრარული განვითარების სამინისტროსა და მიწის სახელმწიფო კომპანიის (კედი) მეშვეობით.

გაცვლილი უძრავი ქონების ნაწილი მოგვიანებით გაყიდულ იქნა აუქციონზე, ათონის წმინდა მთის კონსტიტუციის (Καταστατικὸς Χάρτης τοῦ Ἁγίου Ὄρους Ἄθω) შესაბამისად (თავი. 1 პუნქტი 13* და თავი 2. პუნქტი 90**-ის თანახმად. აღნიშნული კონსტიტუცია ძალაშია 1926 წლის 10 სექტემბრიდან.)

ოლიმპიური უძრავი ქონება

ოლიმპიური მიწის ნაკვეთი და მასზე მყოფი უძრავი ქონება მდებაერეობს თრაკომაკედონიის რეგიონში. იგი სავანეს მას შემდეგ გადაეცა, რაც იქ დასაქმების სამინისტროს განთავსება შეუძლებელი იქნა, სამინისტროსთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების გამო.

საკითხის შესწავლის შემდეგ სავანემ ამჯობინა უძრავი ქონების გაყიდვა და მიმართა კანონიერ გზას აუქციონს. პირველი აუქციონი არახელსაყრელი აღმოჩნდა. შემდგომ, ქონება მიეყიდა კომპანია „ნოლიდენს“ 41 მილიონ ევროდ.

იმავე კომპანიამ მონასტერს შემოწირულობის სახით შესთავაზა 9 მილიონი ევრო, იმ მიზნით, რომ მონაწილეობას მიიღებდა წმ. გრიგოლ პალამას სახელობის საქველმოქმედო ფონდში, განსაკუთრებით კი ინვალიდთა რეაბილიტაციის ცენტრის ფინანსურ მართვაში,

რომელიც უნდა აშენებულიყო გრამატიკოში, ატიკის რაიონში. ამ ოლიმპიური სოფლის მიწის ნაკვეთზე, კომპანიას დაგეგმილი ჰქონდა აეშენებინა და განეთავსებინა კარდიოქირურგიული, გინეკოლოგიური და მეანობის კლინიკები, რომელთა ინვესტიციათა ბიუჯეტიც შეადგენდა 200 მილიონ ევროს. პროექტის განხორციელება შექმნიდა 2.000 სამუშაო ადგილს. სამწუხაროდ, წარმოქმნილი აურზაურის შემდეგ, შეუძლებელია განხორციელდეს, როგორც „ნოლიდენის“ ინვესტიცია, ასევე ინვალიდთა რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა. მონასტერი კი ვალდებულია დააბრუნოს 9 მილიონი ევრო.

წმიდა ევდოკიმეს ტაძარი, განახლებამდე და მის შემდეგ

საბერძნეთის ხელისუფლების სავარაუდო მოტყუება

ათობით უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელემ, რომლებიც გამოირჩევიან მაღალზნეობითა და განათლებით (ორივე მთავარი პარტიის მინისტრებმა, სახელმწიფოს უზენაესი იურიდიული საბჭოს წევრებმა, ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა, პროკურორებმა) ხელი მოაწერეს, სასამართლოსა და შესაბამის სამინისტროთა გადაწყვეტილებებს მონასტრის სასარგებლოდ 1998-2008 წლებში. ყველა ამ დახლართულ პროცესებში მონასტრის ჩარევა, მთავრობაზე გავლენის მოხდენა, ან მათი მოტყუება სავანის მხრიდან, შეუძლებელი იყო.

მონასტრის საბანკო ანგარიშების გაყინვა

განსაცვიფრებელია ის ფაქტი, რომ უკვე დაახლოებით 9 თვეა სავანის საბანკო ანგარიშები გაყინულია და ამით პასუხისმგებელმა ორგანოებმა მონასტერი დატოვეს შემოსავლის გარეშე. ანგარიშების გაყინვის შედეგად მონასტერი დარჩა ყველა მნიშვნელოვანი შემოსავლების გარეშე, რომლებიც მას ჰქონდა გაქირავებული უძრავი ქონებიდან ან სხვა ინვესტიციებიდან. ნუთუ პასუხისმგებელმა ორგანოებმა არ იციან, რომ მონასტერში 110 ბერ-მონაზონი და 150 მუშა ცხოვრობს და რომ სავანე უფასოდ უმასპინძლდება 25.000 მომლოცველს წელიწადში? როგორ უნდა დაფაროს ეს მიმდინარე ხარჯები? აქედან გამომდინარე გარდაუვალი გახდა აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტა და მომლოცველთა რაოდენობის შეზღუდვა.

მონასტრის მთავარ ტაძარში

ვისტონიდას ტბისა და მისი სანაპიროს გაცვლა შემოთავაზებული იყო საბერძნეთის ხელისუფლების მიერ.

სავანის შემოსავლების განკარგვა

მონასტერი არის სახელმწიფო სამართლის იურიდიული პირი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ არის კერძო, არამედ საზოგადოებრივი დაწესებულებაა, ხალხის ქონება და საკუთრებაა. ყოველი მონასტერი თავისი მოძრავი თუ უძრავი ქონებით ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი კვების, სტუმრების მიღების, შენობების აღდგენისა და სიწმინდეთა რესტავრაციის ხარჯები. აგრეთვე ცდილობს განახორციელოს მისიონერული და საქველმოქმედო საქმიანობანი. მონასტრების წინამძღვრებს უფლება აქვთ და მათი მოვალეობაა, მართონ თავიანთი მონასტრის ქონება და ეს არ არის აკრძალული საეკლესიო კანონებით. ისინი აღძრულნი უნდა იყვნენ მონასტრისთვის სარგებლის მოტანის მიზნით და არა პირადი ინტერესებით.

სხვადასხვა მორჩილებისას: სადურგლო სახელოსნოში, ხატწერისას, ბაღში, საფუტკრეში

ბერ-მონაზვნებს არც პირადი ინტერესები აქვთ და არც სხვათა ინტერესს ემსახურებიან. მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან კინოვიურ (საერთოსაცხოვრებელ) მონასტერში მცხოვრები მონაზვნის უპოვარება და მონასტრის ქონება. აშკარაა, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ კინოვიაში მცხოვრებ მონაზვნებს, ისევე როგორც მათ წინამძღვრებს, არ გააჩნიათ კერძო საკუთრება (პირადი ქონება). ასე რომ ნებისმიერი ბრალდება პირადი საბანკო ანგარიშების არსებობის თაობაზე უსამართლო და სრულიად უსაფუძვლოა.

როგორც სხვადასხვა საეკლესიო ორგანიზაციებმა, ასევე ვატოპედის სავანემ თავის ფინანსურ მრჩეველებს, დაავალა მონასტრის ქონების მართვა-განკარგვა. მონასტრის მთელი კაპიტალი, რომლის უმეტესი ნაწილი სესხებზე მოდის, კანონის თანახმად, განთავსებულია სავანის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე, და რა თქმა უნდა, არა რომელიღაც პირად ანგარიშზე, ვინაიდან ასეთი არ არსებობს.

მონასტრის აღმოსავლეთი ფრთა განახლებამდე

მონასტრის თანამშრომლობა კომპანიებთან აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი სამუშაოების შესრულება მინდობილ იქნა ფინანსურ მრჩეველებს - ერისკაცებს, რომლებიც არიან მონასტრის სულიერი შვილები - იმ მიზნით, რომ მონაზვნები გათავისუფლებულიყვნენ კომერციული და ფინანსური გარიგებებისაგან. სავანის ფინანსური მრჩეველები რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს უხუცესთა საბჭოს, რომელიც არის მონასტრის მმართველი ორგანო.

ათობით უდიდესი ავტორიტეტის მქონე უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელემ 1998-2008 წლებში, ხელი მოაწერა სასამართლოსა და სამინისტროთა გადაწყვეტილებებს მონასტრის სასარგებლოდ. ამ პროცესებში სავანის ჩარევა შეუძლებელი იყო.

მონასტრის აღმოსავლეთი ფრთა განახლების შემდეგ

მონასტრის წინადადება საკითხის გადაწყვეტისათვის

რადგანაც წარმოიშვა ამხელა აურზაური, რომელიც იყო, როგორც მონასტრის, ასევე მთლიანად ეკლესიის შეურაცხყოფა, სავანემ მშვიდობის დამყარების მიზნით წერილები გაუგზავნა:

ა) აგრარული განვითარების მინისტრს (23-09-2008);

ბ) ფინანსთა მინისტრის მოადგილეს და აგრარული განვითარების მინისტრს (17-10-2008), რომელიც გადაეგზავნა პრემიერ-მინისტრს (20-10-2008);

გ) ფინანსთა მინისტრს (9-12-2008).

წერილებში სავანის მხრიდან შეთავაზებული იყო, რომ მთელი უძრავი ქონება, რომელიც მიიღო მონასტერმა გაცვლის შედეგად კანონიერი პროცედურების საშუალებით, დაუბრუნდეს საბერძნეთის სახელმწიფოს. სავანე ასევე არ ითხოვს საბერძნეთის ხელისუფლებისაგან ვისტონიდას ტბაზე და მის სანაპირო ზოლზე საკუთრების უფლების აღიარებას, სანამ მფლობელობის საკითხი სასამართლოზე არ იქნება გარკვეული.

ფარული მიზნები

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩართულნი არიან უამრავი და სხვადასხვა ინტერესის მქონენი, პოლიტიკური და ფინანსური ფარული მიზნებით, ძნელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ აურზაურისა და ცილისწამების ნამდვილი მიზანი არის ღირებულებებისა და კანონთა გაუფასურება და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. ზოგიერთებმა გამონახეს ხელსაყრელი დრო ეკლესიაზე დარტყმისათვის, ცეცხლზე ნავთის დასხმით, რათა შეარყიონ საზოგადოების რწმენა ქრისტიანული იდეალების მიმართ.

კარიესში მდებარე წმიდა ანდრიას სკიტი (სერაი), რომელიც ეკუთვნის მონასტერს

ვატოპედის მონასტერი არ არის კერძო, არამედ სახელმწიფო დაწესებულებაა, ხალხის ქონება და საკუთრებაა. თავისი ქონებით უზრუნველყოფს კვების, სტუმრების მიღებისა და აღდგენა-რესტავრაციის ხარჯებს. აგრეთვე ახორციელებს საქველმოქმედო საქმიანობას.

მონაზონი და მსოფლიო

ბერ-მონაზონის ურთიერთობა ადამიანებთან ეყრდნობა მართლმადიდებელ წმინდა მამათა ნაქადაგებ უანგარობასა და ჭეშმარიტ სიყვარულს. ათონის წმიდა მთის მომლოცველებს ამ სიყვარულის გამოცდილება აქვთ. მონასტრიდან მათ თან მიაქვთ სულიერი საფუარი და მას გადასცემენ საკუთარ ოჯახებს, მრევლს და ამ გზით - ოჯახი, საზოგადოება და მთელი მსოფლიო ილოცება და იკურთხება.

გთხოვთ, რომ თქვენც ილოცოთ ქრისტესა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ (ვისი სახელობისაც არის ჩვენი მონასტერი), რათა კეთილი დასასრული ჰქონდეს ჩვენს ამჟამინდელ განსაცდელს.

ვატოპედის წმიდა სავანიდან

* **თავი.1 პუნქტი. 13:** „წმინდა სავანეთა მთელი ქონების მართვა- განგებაზე ზრუნავს თითოეულ მათგანში მკვიდრი საძმო.“

** **თავი. 2 პუნქტი. 90:** „ კინოვიალურ(საერთოსაცხოვრებელ) მონასტრებში იღუმენს მცირე საბჭოსთან(„ეპიტროპი“- უხუცესთა საბჭოს ორი ან სამი წარმომადგენლისაგან შემდგარი მცირე საბჭო) ერთად, ხოლო იდიორითმულ მონასტრებში - მართველ საბჭოს უპყრიათ სალაროს გასაღები და სავანის ბეჭედი. მათვე აკისრიათ მისი[ე.ი. სავანის] მართვა- განგება შიდა განაწესის მიხედვით. ზოგადი ხასიათის საკითხების გადაწყვეტა როგორებიცაა: სასამართლო საქმეები, სესხის აღება- მიცემაზე შეთანხმება, ქონების გაცვლა, ვალის გადახდა, ახალ ნაგებობათა შენება ან არსებულ შენობათა მნიშვნელოვანი აღდგენა- შეკეთება, მორჩილთა მიღება, მონაზონთა აღკვეცა, ხარისხში აყვანა და ზოგადად ხელდასმანი, მეტოქის იკონომოსთა დანიშვნა, მისიონერული საქმიანობა, სიწმინდე- რელიქვიათა ან ქონების შეძენა, **ნებისმიერი გაყიდვა- გაქირავება** ხორციელდება სინაქსის(მონასტრის უხუცესთა საბჭოს) მიერ, განხილვის შედეგად, რომელიც არის კომპეტენტური [ამგვარ საკითხთა] გადაწყვეტისა.“